USAID-ის ეკონომიკური
მმართველობის პროგრამა

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

პრეს-რელიზი

პროექტის პრეზენტაცია
„საჯარო-კერძო დიალოგის ხარისხის შეფასების მექანიზმი“

<u>თბილისი, 18 ნოემბერი, 2021</u> - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, პროექტის **„საჯარო-კერძო დიალოგის ხარისხის შეფასების მექანიზმი“** პრეზენტაცია გამართა.

ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის აღმასრულებელმა დირექტორმა, **გიორგი კლდიაშვილმა,** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, **ირაკლი ნადარეიშვილმა** და USAID/საქართველოს ეკონომიკური ზრდის ოფისის ხელმძღვანელმა, **მარიკა ოლსონმა.**

პროექტის მიზანია საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხარისხის შეფასების პრაქტიკის გაგრძელება, მოცემული მექანიზმის განვრცობა რეგიონებში და დიალოგის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

პროექტის ფარგლებში, IDFI შეაფასებს საკანონმდებლო აქტების შემუშავების პროცესში საჯარო-კერძო დიალოგის ხარისხს. შეფასება განხორციელდება სამი წლის განმავლობაში. პროექტის განხორციელების პირველ წელს შეფასდება 8 კანონი და 8 კანონქვემდებარე აქტი <u>ცენტრალურ დონეზე</u> და 3 რეგულაცია <u>მუნიციპალურ დონეზე</u>. საჯარო და კერძო დიალოგის ხარისხი ფასდება საკანონმდებლო აქტის შემუშავების ოთხ ეტაპზე:

- პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შემუშავების ეტაპი;
- კანონის/რეგულაციის ტექსტზე მუშაობის ეტაპი;
- ინფორმაციის გავრცელება და კომენტარები საზოგადოების მხრიდან;
- Ex-ante რეგულირების გავლენის შეფასების ეტაპი.

დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შემდეგ შემუშავდება ანგარიში, რომელშიც ასახული იქნება ყველა შერჩეული კანონის/რეგულაციის საჯარო-კერძო დიალოგის ხარისხის შეფასება.

საკონტაქტო ინფორმაცია: მაგდა გუგავა IDFI, +995 599 420206, m.gugava@idfi.ge